ცნობის ფურცელი

№ 2544 ორშაბათი, 5 ივლისი 1896—1904 ყოველ-დღიური გამოცემა № 2544

გაზეთი ღირს: წლიწადში—6 მ., თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კანტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა. შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372.

ორშაბათს, 5 ივლისს, დილის 10 საათზე, კათოლიკეთა მიძინების ეკლესიაში გადახდილ იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი აწ გარდაცვალებულის

პეტრე იოსების ძის უმიკაშვილის

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ განსვენებულის დეიდა **ეკატირინე სტეფანეს ასული კაკალაშვილი.** (უ. 2—2)

აზნაურნი ალექსანდრე, ნესტორ და პავლე გიორგის ძენი გუგუშვილები, მატრონა და თამარ გუგუშვილისანი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ 3 ივლისს ტფილისში გარდაიცვალა მეუღლე პირველისა და რძალი დანარჩენთა

მატრო ბეჟანის ასული გუგუშვილისა.

პანაშვიდი საღამოს 7 საათზე, დღეს 5 ივლისს, სასტუმრო „როსსია“-ში (გოლოვინ.პროსპ.). 6 ივლისს 10 საათზე გაასვენებენ კალოუბნის ეკლესიაში და დაკრძალვენ წმ. ნინოს კუკიის სასაფლაოზე. (1—1)

საფაბრიკო საწყობი
ქაღალდის ფაბრიკის სააქციონერო საზოგადოებისა
ვ. ი. პალლიზენ
[illegible] ქაღალდის ფაბრიკის ამხანაგობისა და კოშელევების ქაღალდის ფაბრიკების

ტფილისი, გოლოვ. პროსპ. მანთაშევის სახლში. **ბაქო**, მილიუტინის ქუჩა, გრანდ-ოტელის ქვემოდ.

ქაღალდი ყოველ-გვარი: ფოსტის, საწერი, წიგნის, ალბომის, გაზეთის, საბეჭდი და მუშტუკის, ბოთლის გასახვევი და სხვა; აგრეთვე წიგნები, კონვერტები, საწერი საკანცელარიო საგნები. **ტელეფონი № 679.** (0—138)

თვალის ავადმყოფობის ექიმი
ვ. ს. მუსხელიშვილი
გადავიდა

კიროჩნის და დიდი მთავრის ქუჩ. კუთხეზე სახლი სვანიშვილისა № 11 (კიროჩნი ქუჩიდან). მიიღებს **თვალით ავადმყოფებს** ყოველ დღე, დილის 12—2 ს., საღამოთი 6—8 ს., სამშაბათობით მხოლოდ საღამოობით. (3—3)

ტფილისის
კერძო სამკურნალო
მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

დ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

ა. ნ. დიასამიძე.—საშარდეს, ქირურგია, ვენერ. სიფილ. და კანისა 11—12 საათამდე.

მ. ტ. მულინი.—ყურისა, ყელისა და ცხვირის. 10—11 საათ.

ა. ი. ბალარჯიშვილი.—ბავშვებისა. 9—10 ს.

არ. ვ. სობოლევსკი.—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათ. და პარასკე. 1—3 საათამდე.

პ. ა. ზეიერი.—შინაგანი და ბავშვებისა—1—2 საათ. ყოველდღე.

ექ. ქალი მ. ქ. იოხელიანი.—ქალისა და საბებიო, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 11—12 ს.

ლ. მ. მონინი.—ქალისა, საბებიო და ბავშ. (შემოწმება ძიძებისა) ოთხშაბათ., პარასკ. და კვირაობით 11—12 საათამდე.

ნ. ტყეშელაშვილი.—კბილისა, 9—11 საათამდე.

საღამოთი:

ვ. ვ. სობოლევსკი.—ხირურგია და ორტოპედია. სამშაბათ. და შაბათ. 5—6 ს.

სამკურნალოში ჰხდება ქიმიკურ-მიკროსკოპიული და ბაკტერიოსკოპიული გამოკვლევანი.

სამკურნალოს აქვს ოცი მუდმივი საწოლი.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები მორიგებით. კრავატები სამი მანეთიდან ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (კუკიის ხიდიდან მეცხრე სახლი) სახლი აბრამოვისა, № 9. მიხაილის ქუჩიდან-კი 34 Б.

(წლ.) **ტელეფონი № 274.**

ქუთაისში
კბილის ექიმი ნ. ა. დემიდოვი
(აბორინის შესახვევი, საკუთარი სახლი)

მიიღებს ყოველ დღე. პლომბის გაკეთება და კბილების ჩასმა. (30—140—30)

მკურნალი
მიხეილ გედევანიშვილი

იღებს ავადმყოფებს საღამოს 6—7 საათ. წამლობა ელექტრონით.

ყორღანოვის ქ., № 16, საკუთ. სახ., ტელ. 791.

საუკეთესოდ მოწყობილი
ასოების ჩამოსასხმელი ქარხანა
წიგ. გამ. ქართ. ამხანაგობისა.

ამზადებს ყოველნაირ ქართულს, რუსულს, სომხურს და თათრულს ასოებს.

პრეისკურანტი მსურველთ უფასოთ ეგზავნებათ.

ხია

„ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა“, რომელთაც გადაიხადეს საწევრო ფული 1904 წ. ივნისის განმავლობაში.

№№	სახელი და გვარი	მან.	კ.
136	გერასიმე ბერიძე	6	—
137	ნიკოლოზ ოთხმეზური	6	—
138	მელიტონ დოლაბერიძე	6	—
139	ნიკოლოზ საგინაშვილი	6	—
140	ალექსანდრე ჩერქეზიშვილი	6	—
141	ელენე აბულაძე	6	—
142	პლატონ გვერდწითელი	6	—
143	გიორგი თუმანიშვილი	12	—
144	ტრიფონ გურგენიძე	6	—
145	გარსევან რატიანი	6	—
146	ბლ. ქრისტეფორე ციცკიშვილი	6	—
147	გიორგი თაქთაქიშვილი	6	—
148	ივანე მალალაშვილი	6	—
149	ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი	30	—
150	სილივან ხუნდაძე	6	—
151	სამსონ დათეშიძე	6	—
152	გერასიმე ცაგარეიშვილი	6	—
153	ალექსანდრე გარსევანიშვილი	6	—
154	ბარბარე ვოლსკი	6	—
155	მიხეილ ჩინჩალაძე	6	—
156	სერგეი რობაქიძე	6	—
157	იასონ ნიკოლაიშვილი	6	—
158	სამსონ ყიფიანი	6	—
159	ივლიანე აბესაძე	6	—
160	დიმიტრი ლორთქიფანიძე	6	—
161	ბენედ. მამფორია	6	—
162	იოსებ ოცხელი	6	—
163	თომა მთავრიშვილი	6	—
164	ვასილ ხიდაშელი	6	—
165	მარიამ ზებედაშვილისა	6	—
166	ვარლამ ლანდია	3	—
167	მიხეილ ზედგინიძე	6	—
168	დესპინე სიდავასი	6	—
169	გიორგი მრევლიშვილი	6	—
170	იულია კალატოზიშვილისა	6	—
171	ანდრია ლოლუა	6	—
		243	—
	სულ ამ წლის განმავლობაში	1240	—

ახალი ამბავი

◆ კავკასიის სამკურნალო საზოგადოებასთან არსებულმა განსაკუთრებულმა კომისიამ გადასწყვიტა, მოაწყოს **სახალხო კითხვები ხოლერის შესახებ.** კითხვები გაიმართება ქალაქის მთავარ სამკურნალოსა და ოთხ იმის განყოფილებაში, ქალაქის ღამის თავშესაფარებსა, საბჭოს დარბაზსა და ავჭალის აუდიტორიაში.

◆ **ტფილისის ქალაქის საბჭოს** განსახილველად დარჩა მხოლოდ 7 საქმე. ზოგიერთ საქმის განხილვა მოითხოვს 40 ხმოსნის დასწრებას. ამიტომ ქალაქის მოურავის მოადგილემ თავ. ვ. ნ. ჩერქეზიშვილმა სთხოვა ხმოსნებს, რომ დღეს, 5 ივლისს, უსათუოდ დაესწრონ საბჭოს უკანასკნელ კრებას.

◆ ტფილისის ახალ სასაფლაოსთან საჭირო იქმნება რამდენიმე პატარა შენობების აგება. ამ შენობისათვის, სასაფლაოს ამგებ კომისიის ანგარიშით, საჭიროა 58,785 მანეთი. რადგან ამ შენობების აგებას იჯარით არ ივისრებენ სასაფლაოს ამშენებელნი, ქალაქის გამგეობას განზრახვა აქვს თვით ააშენოს შენობები.

◆ მიხეილის პროსპექტზე, ვეტცელის სასტუმროს პირდაპირ არხი სიბინძურით სავსეა თურმე. პოლიცმეისტერმა სთხოვა ქალაქის მოურავის მოადგილეს, როგორც სასანიტარო კომისიის თავმჯდომარეს, იღონოს რამ არხის გასასუფთავებლად.

რუსეთის ქრონიკა

◆ „ფინლ. გაზ.“-ში დაბეჭდილია ფინლიანდიის სენატის დადგენილება იმის შესახებ, რომ შეცვლილ უნდა იქნას ჰელსინგფორსში დაარსებული კურსები იმ პირთათვის, რომელნიც სახელმწიფო სამსახურისათვის ემზადებიან ან უკვე სამსახურში იმყოფებიან.

◆ მოსკოვის სამოსამართლო პალატას განუხილავს საქმე კოსტრომის პოლიცმეისტრის თანაშემწედ ნამყოფ ბეზსალოვის შესახებ, რომელსაც ჰბრალდებოდა მოქმედებით შეურაცხყოფა პოლიციელის, ცეცხლის მქრობელის და ქალაქის გამგეობის წევრისა. ცეცხლის ქრობის დროს ბეზსალოვს გაულახავს პოლიციელი და ცეცხლის მქრობელი. გამგეობის წევრისათვის-კი გულში ჩაუკრავს მუშტი, წყლის სასროლ მანქანას მოუშორებია და შეუძახნია: „გაეთრიეთ აქედან, რა თქვენი საქმეა, აქ მე ვარ გამგე-ბატონიო“. პალატამ 10 დღით დაპატიმრება მიუსაჯა ბეზსალოვს.

◆ ქალთა ჯანმრთელობისათვის მზრუნველი საზოგადოება ამ მოკლე ხანში აარსებს პეტერბურგში განსაკუთრებულ კურსებს დედათათვის და საზოგადოდ ბავშვების აღმზრდელთათვის.

◆ მოსკოვის ქალაქის გამგეობას მოსვლია ცნობა იმის შესახებ, რომ სახელმწიფო საბჭოს დადგენილებით, ქალაქები განთავისუფლებულ არიან ყოველ წლივ გარდასახადისაგან ცენტრალურ გამგეობათა შესანახად.

◆ „გრაჟდ.“-ში სწერია: ორის მხრიდან გვეპარება ხოლერა: სპარსეთიდანა და შორეულ აღმოსავლეთიდან. ადვილ-შესაძლებელია, რომ ნიჟეგოროდის ბაზრობამ დააჩქაროს ხოლერის გავრცელება რუსეთში. მერე რას ფიქრობს ჩვენი თვით-მმართველობა? ჯერჯერობით [illegible] ირს. პეტერბურგის საავადმყოფოები [illegible] საძაგელ მდგომარეობაში იმყოფებიან.

◆ მექანიკ[illegible] ნტინოვს გამოუგონია ორთქლ-მავალ[illegible] ლი და გზათა მინისტრ თავად ხილკო[illegible] თვის უჩვენებია ციმბირში. მარხილი საათში 60 ვერსს გადის თურმე, მოწყობილია მგზავრებისათვის და 500 ფუთ ტვირთისათვის. ფასი მარხილისა 20 ათასი მანეთია.

თეატრი

სოფ. აწყური (კახეთი). 26 ივნისს სოფელს აწყურში გაიმართა არა ჩვეულებრივი საღამო. ძმათა მელვინეთხუცესოვების მწვანით-მოსილ ეზოში დასდგეს დიდი ფანჩატური, მწვანე ფოთლით დახურული და გარშემო ზღუდული. აი, ამ ფანჩატურში ქ-ნმა გამყრელიძისამ, ბ-ნთ აწყურელმა და გამყრელიძემ ადგილობრივი სცენის მოყვარეთა დახმარებით წარმოადგინეს „თამარ-ბატონიშვილის“ მე-4 მოქმედება, „გაცრუებული იმედები“ და „სატრფო ერთის საათით“. ამას გარდა იყო დივერტისმენტიც, რომელშიაც იმღერა ადგილობრივ გლეხთა ბავშვებისაგან შემდგარმა ხორომ ბ-ნ შავლიაშვილის ლოტბარობით. საღამოს დაესწრო 200-ზედ მეტი მაყურებელი, რომელთა მესამედს გლეხობა შეადგენდა, თუ არ ჩავთვლით ფანჩატურ გარედან მაყურებლებს, რომელთა რიცხვი თითქმის უთანასწორებდა ფანჩატურში მყოფთა რიცხვს. საზოგადოდ, წარმოდგენამ მწყობრად ჩაიარა, განსაკუთრებით გლეხის დედაკაცებზე მოახდინა ღრმა შთაბეჭდილება. დედაკაცებს ჩვილი ძუძუთი ბავშვები მოეყვანეს მოსაწოვებლად. დაიკავეს ბავშვები და ვერა საშუალებით ვერ გაიყვანეს ფანჩატურიდან, როცა ბავშვების ტირილი სიჩუმეს არღვევდა და უშლიდა მაყურებელთ. მოთამაშენი კარგად მომზადებულიყვნენ: ყველამ კარგად და დაკვირვებით ჩაატარა თავისი როლი. ბავშვთა გუნდმა დიდი აღტაცება გამოიწვია მშვენივრად და მწყობრად შესრულებულ სიმღერებით. ამ გუნდში გლეხის 7—10 წლის ბავშვები იყვნენ, მაგრამ ლოტბარმა ცოტა ხანში მაინც მოასწრო იმათი მომზადება.

ნადიკვრელი

წერილები

ს. ლეხაინი (სამეგრელო). უბედურს კაცსქვა აღმართში მოეწიაო,—სწორედ ჩვენზეა ნათქვამი. შარშან მოსავალი ძალიან ნაკლები იყო; წრევანდელმა ცივმა გაზაფხულმა და ივნისის პირველ ათი დღის გვალვამ ყანები ძალიან შეაჩერა. მერე თუ დრო-გამოშვებით წვიმა იყო, სამაგიეროდ ღამე ცვარი არ იყო და სიმინდის ზრდას ძალიან აბრკოლებდა. ეს არ გვაკმარა. 24 ივნისს მოვიდა კოკის-პირული წვიმა. მაღალ მთა-ადგილებში რაც ნათესი იყო, ნიაღვარმა სულ ჩამორეცხა. მდინარეები საშინლად ადიდდა. სამოცის წლის კაცები ამბობენ, ასეთი დიდი წყალი ჩვენ არ გვახსოვსო. სხვა-და სხვა მხრიდან ჩვენ სოფელზე ოთხი მდინარე მიდის: მდ. ხოპის წყალი, ოჩხ-მური, ცი და ზანაძგა. უკანასკნელი სამი ეხლა ისე ადიდდა, რომ რიონი გეგონებოდათ; რაც ნაპირებზე ყანები იყო, სულ გაათხრა, ზოგი დამარგლილი სიმინდი მიწიანად წაიღო, ზოგზე სიმინდი მოჰგლიჯა და ზოგზე არშინ-ნახევარი ქვიშა და ქვა დააყარა. შინაური პირუტყვიც ბევრი იმსხვერპლა; წისქვილები ზოგი სულ წაიღო, ზოგს ათი-თხუთმეტი თუმნის შესაკეთებელი ხარჯი სჭირდება. ღობეები სულ მოჰგლიჯა. ჩვენში ყანა ყველგან შემოღობილია და პირუტყვი უმწყემსოდ სძოვს. ეხლა ყანა რით შემოვღობოთ? ხე-ტყე ძვირია; ერთი საჟენი შეშა თორმეტ მანეთად იყიდება. აბრეშუმის მოსავალიც ძალიან ნაკლები იყო. ჩარჩებმა ხმა გაავრცელეს, აბრეშუმის ფასი წლეულს მცირე იქმნებაო, და მართალიც გამოდგა. შარშან ნედლ პარკს ჩვიდმეტ-თვრამეტ მანეთად ვყიდდით ერთ ფუთს, წლეულს ერთ ფუთში პირველად $10\frac{1}{2}$ მანეთს იძლეოდნენ. ზოგიერთს გვეგონა, ფასი მოიმატებსო და არ გავყიდეთ, მომატების მაგიერ იკლო: ახლა რვა-ცხრა მანეთის მეტს არ გვაძლევენ. ისიც დიდის ხვეწნით, პარკი გაგიფუჭებიათო. ვინც შარშან ხუთი-ექვსი თუმნის აბრეშუმი გაჰყიდა, იმან წლეულს ათი მანეთიც ძლივს აიღო. $4\frac{1}{2}$ მანეთი აბრეშუმის თესლისა უნდა გადაიხადოს. სოფლად ასე იყიდებოდა თითო კოლოფი თესლი (ექვსი მისხლიანი). ჩვენში აბრეშუმის მოსავალი, სიმინდს შემდეგ, პირველი წყაროა მოსავლისა. ოჯახი არ იყო ისეთი, სამი ფუთი რომ არ მოსვლოდა; წლეულს ამის მეოთხედიც არ მოსულა და ისიც ნახევარ ფასში იყიდება.

პეტრე დგებუაძე.

თელავი. წინად თუ აქაურ საზოგადო წიგნთსაცავისთვის გასაჭირი იყო ბიბლიოთეკარის შოვნა, რადგან ჯამაგირი 5 მან. იყო, ახლა, როდესაც ჯამაგირი 15 მანეთია, ერთ ალაგს რამდენიმე კაცი ელტვის; დასებსაც კი ადგენენ, როგორც 29 ივნისის კრებაზე გამოირკვა. ამის შესახებ ჭორებიც დადიოდა. წესდების ძალით გამგეობას ნება აქვს, ვისაც უნდა, დააყენებს ბიბლიოთეკრად, მაგრამ გამგემ ბ-მა მარქაროვმა, რა შეიტყო ეს, არ ინდომა ამ შემთხვევაში ესარგებლნა ამ უფლებით, რადგან შესაძლებელი იყო ამითი ბიბლიოთეკას ვნებოდა და წევრნიც უკმაყოფილონი დარჩენილიყვნენ. ამისთვის გამგეობამ კრება მოიწვია 29 ივნისს. ჯერ შემთხვევა არა ყოფილა, პირველ კრებაზე ამდენი ხალხი დასწრებოდეს და ასეთ მარტივ საქმის განხილვას ამდენი ხანი მოსდომოდნენ. დასობა აშკარად ემჩნეოდათ. მთელის კრების განმავლობაში ჩურჩული არ შეწყვეტილა, განსაკუთრებით ქალთა შორის, რომელნიც მარტო კრებაზე ესწრებიან ხოლმე; სხვა დროს კი ბიბლიოთეკაში არ იხედებიან. თავმჯდომარედ ამოირჩიეს ბ-ნი ზარაფიშვილი და კრება $8\frac{1}{2}$ საათზე დაიწყო. გამგემ ბ-ნმა მარქაროვმა მოახსენა კრებას

ამან ზევრი ლაპარაკი გამოიწვია. შეეხნენ ძველ ბიბლიოთეკარსაც, რა მიზეზით ითხოვთ, არავითარი დანაშაული არ მიუძღვის ბიბლიოთეკის წინაშეო, თუმცა თვითონ კარგად იცოდნენ მიზეზი. ზოგნი თხოულობდნენ ისევ ძველი დარჩეს, ზოგნი—არა, ახალი ავირჩიოთო. ბევრმა ისიც განაცხადა, ეს გამწეობის საქმეა და ჩვენ ტყუილად დროს გვაკარგვინებსო. ბაასი ორ საათს გაგრძელდა. ბოლოს კანდიდატებად დაასახელეს ოთხი კაცი, რომელთაც კენჭი უყარეს: ხმის უმეტესობით ბიბლიოთეკრად ამოირჩიეს კურდღელაშვილი, წინად ორი წელიწადი ბიბლიოთეკრად ნამყოფი და საქმის კარგი მცოდნე. ამ რიგად გადასწყდა ეს საქმე, რომელმაც აგერ ორი თვეა ასეთი ლაპარაკი გამოიწვია. ამას გარდა ამოირჩიეს მცირე კომისია, 5 კაცისაგან შემდგარი, რომელიც უნდა დაესწროს ბიბლიოთეკის ჩაბარების დროს.

დამსწრე.

—

ხოფ. ხაშმი. (ივრის ხეობა). ჩვენში ქურდობა ახალი ამბავი არ არის, მაგრამ ამ ბოლო დროს ძალიან გათამამდნენ. 29 ივნისს გაქურდეს კოჟინის ქვრივი სამრევლო სკოლის შენობაში. ეს ქალი ნერვებითაა ავად და მყუდრო საცხოვრებელი აირჩია სოფლის განაპირას. 29 ივნისს, ღამე, კლასის ოთახის გატეხილ შუშიდან გააღეს ფანჯარა, გავიდნენ მეორე ოთახში, სადაც ეძინათ კოჟინის ქვრივს და იმის სტუმრებს, აბაზაძეს ცოლით. ქურდმა ანთებულ ლამპარზედ დაუარა ოთახს, ქვრივსა ბარგიდან ამოიღო ოთხი თუმანი, აბაზაძის ბარგიდან სამ თუმან ნახევარი, აბაზაძის ქამარ-ხანჯალი ვერცხლით მოჭედილი, ახალი ოქროს საათი, ერთი ხალიჩა და თორმეტი გირვანქა დამღვრეული შაქარი პარკით. ქურდის ბუდარაობის დროს ქვრივს ღვიძებია, მაგრამ შიშის და სისუსტის გამო ხმა ვერ ამოუღია, თუმცა ქურდი უთვალიერებია. ამბობს, ვიცნობ, რომ ვნახოო, აბაზაძესაც გამოღვიძებია. შეუხედნია ქურდისთვის, დაუთვალიერებია, წამოხტომია რევოლვერით, მაგრამ რევოლვერი ვერ უსროლია ავადმყოფის ქალის გამო. ქურდი გადამხტარა წინადვე გაღებულ ფანჯრიდან და წასულა. 30 ივნისს, ღამე ეზოებიდან მოიპარეს ცხენები მასწავლებლის ბაქრაძისა და გიორგი მამულაშვილისა. პირველ ივლისს ეს ცხენები და ქურდები ავლაბრის პოლიციამ დაიჭირა მახათის გორების ხევში. ქურდები არიან ერთი წილკნელი და მეორე ჯიმითელი. ამათ უეჭველია ხაშმელი ამხანაგი უნდა ჰყავდეთ. 29 ივნისს, შებინდებისას, ნინო-წმინდელი გლეხი მოდენილა ხაშმზედ, ბერთუბნის ხევში დაჰხვედრია სამი უცნობი, დასცემია, ძალიან უცემნია და წაურთმევია ჩოხა და ვერცხლის ქამარი.

ბაქრაძე

—

ივრის ხეობა. ვეწვიე სტუმრად ჩემს სამშობლო მხარეს—ივრის ხეობას. ძლიერ კარგი შთაბეჭდილება მოახდინა წლევანდელ მოსავლის პირმა: ქინახული შიგ არ ეტევა, გაჭედილია, უკვე შემოშვებული და სამკალად ყელ მოღერებული. სასიამოვნოდ უტოკებს გულს არამც თუ მოამაგეს, გარეშე მაყურებელსაც. არც ვენახია ნაკლებ ყოფაში: ყოველი ვაზი ისეა აკიდებული, რომ კაცი თვალს ვერ მოაშორებს. ვენახის წამლობა გახშირდა და საღი ვაზი დიდ მოსავალს იძლევა. მოქირნახულეს უხარიან, ღმერთო მიეც ბარაქაო, გაძღეს ქვეყანაო, მაგრამ თანაც ბედს ემდურის, რა გამოვიდა, შარშანდელი მოსავალი შინვე გვიდგა და ახალიც ზედ ემატებაო. სწორედ საპალნე თუმნად გახდება და დაკრეფის და დაყენების ფასს ვერ აიღებსო. საკვირველია, რომ ჩვენ ხალხს არ ეხერხება მოსავლის შენახვა-დაძველება. უწინ, როდესაც არსებითი ბრძოლა ლუკმა პურისთვის ასე არ იყო გამწვავებული, შეძლებულ სოფლელს რამდენიმე წლის საზრდო ჰქონდა, ახლა-კი თუ წლის დამლევამდის ვერ მოაშორა მოსავალი, ჩივილითა და წუწუნით აპირებს საქმეს. პურს ხომ დაძველებულს ვერა ნახავთ და აი წელს რჩება ღვინოები გასასყიდი და მზად არიან საპალნე შვიდ აბაზად მისცენ გაბრაზებულებმა. უმეტეს ნაწილად კახეთში—ღვინის ქვეყანაში—საალავერდოზოთ ძველ ღვინოს ველარ ჰნახავთ. დიაღ რომ მართალია სომხის ნათქვამი: ქართველ კაცს ძველი სარჩო ეჯავრებაო. მშვენიერ მოსავალთან დიდ კონტრასტს შეადგენს შთაბეჭდილება, ხალხისაგან მომხდარი. ხალხი სწრაფად მიდის უკან და უკან. ცხადათა ჰხვდება ეს თვალში ჩემისთანა იშვიათად მისულს სოფლად. ბარე 30 წელიწადი ვაცქერდები სოფლის ცხოვრების მსვლელობას თითქო ხალხი გამრავლდა, მუშა ხალხმა იმატა, განა პროპორციონალურად ნამოქმედარიც არ უნდა სჩანდეს? სოფლის შენობები უარესი და უარესია, ვენახები გაბერხრებულია, სასოფლო საქმეები სრულებით უყურადღებოთ მიტოვებული, სასოფლო გზები ხომ არ დაინახება აუშფოთებლივ, ობოლთა მამულები აუცილებელი ლუკმა ხდება სოფლელ მტაცებლებისა. გლეხი კაცი, ფარაჯაში გახვეული, უსისხლო, გამოფიტული, უიღლო, შეჰყურებს წლევანდელ გულუხვ მოსავალს, ცალი თვალით იცინის, ცალი თვალით ტირის: მოსავალი ახარებს, ჩაკლება მისი აპირბოროტეს. არა აქვს მუშის დაჭერის სახსარი, რიგიანი ჭამა-სმა და უნდა მიადგეს ამოდენა მოსავალს ამ ქალაქს დღეს ცარიელის პურით კვირით-კვირობამდის იმუშაოს სველ ლუკმის მონატრულმა და ღამეც ჭერ-ქვეშ ვერ დაიძინოს. ამისთანა გარემოებაში ვითომ იმან ჭკუის საზრდოზე იფიქროს? საზოგადო ცხოვრების ვითარებას თვალი გადაავლოს?

საგარეჯო ერთი უდიდესი სოფელია. სასოფლო საქმეებით პატარა ქალაქთან თანასწორია. მაგრამ მათ წარმოებაში სრულებით არა სჩანს ვისიმე გულშემატკივრობა, გულის დადება, ჭკუის მუშაობა. სოფლის საქმეები ხელთ ჩაუგდიათ ისეთებს, რომელთაც სხვისი კეთილ-დღეობა არად მიაჩნიათ. ვინც გადაეღობებათ, ცეცხლითა და მახვილით ჰლაგმავენ. ზედ სოფელზედ ჩამოდის რიყე, რომელსაც თითქმის ვერსი აქვს სიგანე იმაზედ გადასვლა-გადმოსვლა გაზაფხულის ნიაღვრების გამო თითქმის შეუძლებელი ჰხდება და არავინ-კი არა ჰფიქრობს, რომ რამდენისამე მუშით ნიაღვრებს შემდეგ გადაწმინდოს და გზა გაუხსნას მოსიარულე ხალხს. სხვა რომ არა ვთქვათ, მარტო შვიდი დილიჟანი დადის საგარეჯოსა და ქალაქს შუა და ცხენებს ჰხოცავენ ამ რიყეზე გადასვლა-გადმოსვლით. ადგილობრივი ინტელიგენცია არავითარ მონაწილეობას არ იღებს სასოფლო საქმეში, არ ეკარება გლეხს. ეს სულ სხვა ხალხია სოფელში, რომელსაც არაფერი საერთო არა აქვს რა გლეხობასთან თავისებურად ერთდებიან, ცალკე წრეს შეადგენენ, არც რაშიმე მისდევენ, არც მიიყოლიებენ.

სასოფლო სამეურნეო ანუ საოჯახო საქმეებში აქამდის პოლიცია ერეოდა ცოტათ თუ ბევრად. ახლა, თანხმად მთავრობის განკარგულებისა, განზედ გადგა. ბევრს გაუხარდა, ძალიან კარგი, ხალხში თვით-მოქმედება გაიღვიძებს, უნდა იცოდეს, რომ ის თავის ანაბარას უნდა იყოს და მოწყალებისათვის არსად გაიყურებოდეს, პატრონს არ ეძებდესო. მოსაზრება ჩინებულია, მაგრამ ჯერჯერობით ამ გზაზე გაკეთებულს ვერასა ვხედავთ,—მოვიცადოთ, ვნახოთ მომავალი რას მოიტანს. საფიქრებელში ჩაგვაგდო ახალმა გარემოებამ, მომრიგებელ-შუამავალთა შტატების დაარსებამ. ეს რაღაცა სპეციალიზაციაა, რაც საოჯახო, სამეურნეო სამოსამართლო ნაწილი, სულ ამათ ხელში გადავიდა, ამათ ხელში მოუყარეს თავი. იქნება გაკეთდეს რამე? საგარეჯოს ოროლეები ისევ იმ ყოფაშია, ისე ქვებით სავსე, თითქო ქვის სეტყვა მოსულაო, ეშმაკი ფეხს მოიტეხს დღისით-მზისით. უცხო კაცი მოვიდეს ცოცხალი, ხალისიანი, უფლება ხელთ ჰქონდეს და ამას ყურადღება არ ათხოვოს? ოცი წლის წინად მადლი მოისხა პოლიციამ და სოფლებში ცოტაოდნად შეაკეთა გზები, გააკეთა შოსე ხეობაზე სართის ქალამდის და მას აქეთ ყველაფერი დავიწყებას მიეცა.

გ. გარეჯელი.

—

ს. საყულია (იმერეთი). რაც სადგური მუხიანი დაარსდა და მის ახლო-მახლო სოფლებს გაუადვილდათ საქონლის სხვა-და-სხვა ქალაქებისაკენ გაგზავნა, საყულიის მკვიდრნი შეუდგნენ საბალე მცენარეების თესვა-მოყვანას, უფრო კომბოსტოსა და კარტოფილისას, რომელთაც მიწის ნიადაგმაც ძლიერ შეუწყო ხელი. ყველა ამას რამდენიმე პირი ყიდულობდა ძლიერ იაფად და უგზავნიდა ბათუმს ორიოდე ვაჭარს გასასაღებლად, ან თვითონ მიჰქონდა და ორ იმდენად ჰყიდდა, რაც თვითონ მიეცა. ეს პირები სოფელში გარეშე ვაჭარს არ უშვებდნენ, მუხიანში ჩამოსვლისათანავე გაუჩნდებოდნენ ალალივით და ურიგდებოდნენ მათ იმ ფასში, რაც ქალაქებში იყო, მერე-კი სოფელში თავისს ნებაზე აწესებდნენ მაზანდას. სოფლელებიც ძალაუნებურად ამათ სურვილს ემორჩილებოდნენ. წელს-კი მღვდლის პლ. ჯინჭველაშვილისა და ვასილ არეშიძის მეთაურობით შესდგა ამხანაგობა, რომლის წევრიც ვალდებულია იმას მიჰყიდოს თავისი საქონელი, რომელსაც ამხანაგობა ამოარჩევს. ამხანაგობა ჯერ-ჯერობით შესდგება 60 კაცისაგან. ამხანაგობას კომისიონერად ბათუმში ბ-ნი არაქელოვი ჰყავს. შემდეგისთვის კომისიონერი როსტოვშიაც ეყოლებათ. კომბოსტო უკვე მოილია. სულ გადაზიდეს 17,000 ფუთი. ფუთი იყიდებოდა 50, 60, 65 და 80 კაპ. აბრეშუმის პარკის მოსავალი ძლიერ ნაკლები იყო. რაც მოვიდა, იმასაც არა ჰქონდა ხეირიანი ფასი. ფუთი 10—12 მანეთად იყიდებოდა; ბოლოს 9 მანეთამდე დაიყვანეს. ახლა-კი, როცა პარკი თითქმის ილევა, 13—14 მანეთსაც იძლევიან, მაგრამ უწინდელ გამყიდველთ რაჲ?

სა—ლი.

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

3 ივლისი

პეტერბურგი. გენერალ-ადიუტანტის ალექსეევის დეპეშა, მის უდიდებულესობის სახელზე გამოგზავნილი 1-[illegible] „პორტ-არტურიდან 22 ივნისს [illegible]ე, რომ 20 და 21 ივნისს [illegible]ავნე ჯარის მარჯვენა ფრთეს[illegible]ნდა მტერთან ლუნვანტანის [illegible] დასაბრუნებლად. სალამოთი მტ[illegible] დაიწია და რამდენიმე სიმაგრე ჩვენს ხელში გადმოვიდა. ორსავე დღეს კრეისერი „ნოვიკ“ ი, საკანონირო ნავები და ნაღმიანი გემები ნავთსადგურიდან გამოდიოდნენ და მტრის პოზიციებს ზარბაზნებს ესროდნენ ზღვიდან, რითაც ხელი შეუწყეს ჩვენის ჯარის გამარჯვებას. ჩვენს ჯარს ყველაზედ მეტი ზარალი ტყვიის-მტყორცნელებმა მიაყენეს; ამგვარი ზარბაზანი იაპონელთ ოცზე მეტი ჰქონდათ ამ ბრძოლაში. ამ ორ დღეს ჩვენი ზარალი იყო: მოგვიკლეს—მე-13 პოლკის კაპიტანი გეტენკე და მე-27 პოლკის პორუჩიკი ლივოტოვი; დაჭრილნი არიან—მე-13 პოლკის კაპიტანი მიროშნიკოვი, მე-14 პოლკის პორუჩიკი ოლშინევსკი და პოდპორუჩიკი ორიოლი, მე-15 პოლკის პორუჩიკი დემიანოვი და გენ. სტესსელის ადიუტანტი თავ. განტიმუროვი (მძიმედ არის დაჭრილი); ჯარის კაცი მოკლულია 35 და დაჭრილია 247; დაშავდა გენ. სტესსელის შტაბის უფროსის თანამდებობის აღმასრულებელი პოლკოვნიკი რეისი. იაპონელებს-კი ამ ორ დღეში, როგორც ჩინელები ანგარიშობენ, 2000-მდე მოუკლეს და დაუჭრეს.—24 ივნისს მიღებულ ცნობის თანახმად, ჩვენმა ჯარმა დაიჭირა პორტ-არტურის წინ მდებარე მთა, რომლის შემწეობითაც ჩვენს ხელში იქნება ლუნვანტანის ულელტეხილი. ამ ბრძოლაში მოგვიკლეს: მე-13 პოლკის კაპიტანი ლისენკო და მე-27 პოლკის პორუჩიკი ლიგოტი; დაგვიჭრეს: მე-14 პოლკის პოდპორუჩიკი ჩინკოვსკი და 21 სალდათი. მივიღეთ ცნობა, რომ ბოლოს დროს იაპონელებმა კიდევ გადმოსხეს დალნიში ჯარი; 19 ივნისამდე სულ გადმოუსხამთ ნაპირზე 20.000 კაცი 50 ზარბაზნით. მთელი ქალაქი იაპონელთა ჯარის კაცებითაა ავსილი. იაპონელები შეუდგნენ დოკისა ცენტრალურ საელექტრო სადგურის შეკეთებას. მუშაობენ აგრეთვე რკინის გზის შესაკეთებლად; რადგან ჯერ ლოკომოტივები არ მოსვლიათ, ვაგონებს ჩინელები ამოძრავებენ ხელით. 26 ივნისს იაპონელებმა წინსვლა შეაჩერეს და ამაგრებენ უკვე დაჭერილს პოზიციებს. მოწინავე რაზმებს შორის ყოველ დღე შეტაკება ხდება, რაც ხელს უშლის იაპონელთა მუშაობას. დიდი წვიმა მოვიდა და გზები გაფუჭდა. ჯარის სულიერი მდგომარეობა მშვენიერია“.

4 ივლისი

ადენი. („რეიტ. სააგ.“). ხმა დადის, რომ რუსის გემმა „პეტერბურგ“-მა წითელ ზღვაში შეიპყრო და სუეცში მიიყვანა ინგლისის გემი „მალაკკა“-ო.

ადენი. („ვოლფის სააგ.“). გერმანიის საფოსტო გემი „პრინც ჰენრიხ“-ი შეაჩერა გუშინ რუსის კრეისერმა „სმოლენსკ“-მა. გერმანიის გემი იძულებული გახდა, მიეცა რუსებისთვის 31 ტომარა, საფოსტო კორესპონდენციით სავსე, და 24 ტვირთი იაპონიაში გაგზავნილ საფოსტო ამანათებისა.

პერიმ. („რეიტ. სააგ.“). ამერიკის გემმა „მორნინგ სტარ“-მა ჯებელ-ტვირსა და ჯებელ-სუკურის კუნძულებს შუა ჰნახა რუსის კრეისერი დობროვოლნი ფლოტისა. იგივე გემი შეჰხვედრია მეორე კრეისერსა და ნაღმიან გემს.

ტოკიო. („რეიტ. სააგ.“). მთავარმა საიმპერატორო შტაბმა ოფიციალურად უარჰყო პეტერბურგიდან გავრცელებული ამბავი, ვითომ 28 ივნისს პორტ-არტურთან მომხდარ ბრძოლაში იაპონელებს 30,000 კაცი დაეკარგოთ.

ბერლინი. სეულიდან მიღებულ ცნობებით, რუსებს ჩრდილოეთ კორეისაკენ გაუგზავნიათ ჯარი. რუსების განზრახვაა, ხელი შეუშალონ იაპონელებს, რომ იმათმა ჯარმა ვლადივოსტოკის წინააღმდეგ არ დაიწყოს მოქმედება.

ტოკიო. (ბერლინით). ჩიფუდან მიღებულ ცნობებით, რუსის პორტ-არტურის ჯარმა ფლოტის დახმარებით ხელ-ახლა დაიბრუნა ის პოზიციები, რომელიც იაპონელებმა დაიჭირეს. მოდულინის ულელტეხილის დასავლეთით რუსები წინააღმდეგობას უწევენ იაპონელებს. რუსებმა მიაღწიეს მტრის თხრილებამდე და არტილერიის მეოხებით დაიჭირეს.

შანჰაი (ბერლინით). დღეს ზღვაში ბრძოლა მოხდა პორტ-არტურს პირდაპირ. შედეგი ბრძოლისა ჯერ არ არის ცნობილი.

ნიუ-ჩუანი. გუშინდელს აქეთ იაპონელები წინ აღარ მიდიან. იაპონელთა პირველ და მეორე არმიას ისეთი ადგილები უჭირავთ, რომ აშკარავდება იმათი განზრახვა: იაპონელებს უნდათ მოუარონ და მუკდენთან გზა მოუჭრან რუსის ჯარს.

მოსკოვი. იმათ ოჯახების სასარგებლოდ, რომელნიც სათადარიგოდ იყვნენ ჩარიცხულნი და ეხლა ჯარში გაიწვიეს, საგუბერნიო ერობამ, 25,000 მანეთს გარდა, გადასდო 150,000 მანეთი.

4 ივლისი

ლონდონი. („რეიტ. საგ.“). ინგლისის მთავრობამ ნება დართო, კრიუგერი ტრანსვაალში დაასაფლავონ.

კონსტანტინოპოლი. საქმის ვითარება მაკედონიაში რეფორმების შემოღების გამო უკეთესდება.

მინსკი. „სევ.-ზაპ. კრაი“ იუწყება, რომ ბოლოგოე უნდა შეუერთონ პოლესის რკინის გზების სედლეცის სადგურსა. ამ ახალ გზას სახელად ალექსანდროვსკის რკინის გზა დაერქმევა.

კიევი. საძარკვლდი ჩაჰყარეს წითელ ჯვრის გამკეთბის სახლისა. შენობა დაჯდება 30,000 მანეთად. სახლი შენდება ლაზარ და ლევ ბროდსკების ფულით.

პეტერბურგის ბირჟა, 1 ივლისი

ლონდონისაზე 10 გირვ. სტ.	94,00	
ბერლინისაზე 100 მარკაში	96,00	
პარიზისაზე 100 ფრანკში.	—	
ლონდონისაზე ჩეკები	94,55	
ბერლინისაზე „	46,30	
პარიზისაზე „	37,52½	
ბირჟის დისკონტი	6-7½%	
4% სახელმწიფო რენტა	92½ გაყ.	
4%-ანი სახელმწ. სესხი 1902 წ. . . .	—	
4½% შინაგანი სესხი 1903 წ. . . .	—	
4% გირ. ფურ. სახელ. ს.-მამ. ბანკ. .	878	„
5% 1 შინ. სესხ. მომ. ბილ. 1864 წ. .	387	„
5% მეორე შინ. სესხ. მომ. ბილ. 1866 წ.	300½	„
5% გირ. მომგ. ფურც. სახ. ს.-მამ. ბანკ.	262	„
5% ობლ. ტფილ. საკრ. საზოგ. . .	—	
4½% ობლ. იმავე საზოგად..	83¼	
5%-ანი ობლ. ბაქოს საკრ. საზოგ. . .	—	
5% გირ. ფურც. ტფილ. ს.-მამ. ბანკ.	—	
4½% გირავ. ფურც. ამავე ბანკისა. .	—	
6% გირ. ფურ. ქუთ. ს.-მამ. ბანკისა.	—	
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა. . .	—	
. ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია. . . .	190	„

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი.

განცხადებანი

დაიბეჭდა ცალკე წიგნათ და იყიდება ქართულ წიგნის მაღაზიებში ახალი წიგნი

მამულიშვილობა და მეცნიერება

ივ. ჯავახიშვილისა.

ფასი 15 კაპ. (10—6.—3)



СѢДЕЛЬН. СПЕЦІЯЛЬН.

Безъ конкуренціи

Продаются всевозможн. сѣдла.

მიხაილოვის პრ., სახლი აკოფოვისა, № 92, საზაფხულო სოაპრანიის ახლოს. (წ.—176—53)

ტრიოხგორნი ლუდხანის ამხანაგობა მოსკოვში

ყოველ დღე ამზადებს 3,500,000 ვედრა საუკეთესო ხარისხის ლუდს, რომელიც დაჯილდოვებულ იქმნა სახელმწიფო გერბით 1882 და 1896 წ. წ. გამოფენაზე. ამხანაგობა ამით საყოველთაოდ აცხადებს, რომ განიზრახა ყოველ დღე მიაწოდოს ადგილობრივ მომხმარებელთ ახლად დამზადებული ლუდი რაც შეიძლება ნაკლებ ფასად და ამიტომ დააწესა ლუდის გამოგზავნა ტფილისში საკუთარ საყინულე-ვაგონებით. ტფილისში ნარდათ სავაჭრო ცენტრალური საწყობი ურჩევს მსურველთ იყიდონ ხოლმე უმაღლეს ხარისხის ლუდი:

სუფრაზე სახმარებელი (თეთრი) დაწესებ. ფასი მადაზ. 15 კაპ. ბოთლი (1/20) უჭურჭლოდ.
კულმბახის (შავი) „ „ „ 16 „ „ „ „

ბოთლები ფირმისა სახელმწიფო გერბით არის, კაპსიულებით. ცენტრალურ საწყობის კანტორა თავის თავზე იღებს ლუდის სახლში მიტანას: სუფრაზე სახმარებლისა 14 კაპ. ბოთლი, კულმბახისა 15 კაპ. ბოთლი (1/2 ვედრისა), ჭურჭლის ბე 6 კაპ.

ადრესი: პუშკინის ქუჩა, № 11, წურინოვის პასსაჟი. **ტელეფონი № 1013.**

შენიშვნა: ტფილისს გარეშე მყიდველთ, თუ მოისურვებენ, ლუდი გაეგზავნებათ პასტერის სისტემით დაწმენდილი (ექსპორტ) და ღვინის ჭურჭლებში ჩასხმული. (50—35—20)

ჩემის ვაჭრობის მოსპობის გამო

ამ წლის 22 აპრილიდან დავიწყე უკანასკნელი გაყიდვა, საფაბრიკო ფასებზე დაბლა, ჩემს სამებელო მაღაზიაში, ალექსანდროვის ბაღის პირდაპირ, ხაზინის გვერდით.

გადაჭრილი ფასებია დანიშნული.

ნარდათ მყიდველებს ვთხოვ პირდაპირ მე მომმართონ.

60—189—56)

პატივისცემით ბ. ჯ. ბერიევი.